სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №2
2025 წლის 30 ოქტომბერი

ქ. სამტრედია

,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მუხლი 1
საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“, საქართველოს კანონისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“, საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის №22 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებპორტალი, 21/12/2021 წ., სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.120.016382) შეტანილ იქნეს ცვლილება.

მუხლი 2
„სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიიას მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის №22 დადგენილების დანართი №1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 3
დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ვაჟა სტურუა**

დანართი №1

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობა

იერარქიული რანგი	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობრივი სარგო	საშტატო რიცხოვნობა
საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირები			
	საკრებულოს თავმჯდომარე	**6003**	1
	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	**4539**	1
	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	**3953**	2
	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	**3221**	5

	ფრაქციის თავმჯდომარე	**2928**	2
	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	**2343**	8
პოლიტიკურ თანამდებობის პირთა რაოდენობა			**19**
საკრებულოს სტრუქტურული ერთეულების პროფესიული საჯარო მოხელეები. **საკრებულოს აპარატი.**			
III რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საორგანიზაციო საკითხებში)	**1752**	4
III რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში	**1752**	1
III რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (მრჩეველი გენდერული თანასწორობის საკითხებში)	**1752**	1
III რანგი	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საორგანიზაციო საკითხებში)	**1606**	2
	სულ:		**8**